ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

მერაბ ალექსიძის N1
0193 თბილისი, საქართველო
+(995) 595 174 106, +(995) 599 380 079
+(995) 557 930 829, +(995) 599 912 728
https://saras.gov.ge/ms/

20 იანვარი 2025

N 16/2113

შპს „ცერცვაძე და კომპანია“ (ს/ნ 400054203)
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ც. დადიანის ქუჩა N148, ბინა N12
ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქუჩა N8, სართული მეექსვე/
ბოხუას ქუჩა N4, სართული მეექვსე
საკონტაქტო ნომერი: +(995) 555 54 65 65, +(995) 555 50 91 37

გაცნობებთ, რომ „შპს „ცერცვაძე და კომპანია“-ს ხარისხის მართვის სისტემის სრული მონიტორინგის დაწყების თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომში - სამსახური) 2025 წლის 20 იანვრის N8 ბრძანების საფუძველზე, იწყება აუდიტორული ფირმის - შპს „ცერცვაძე და კომპანია“-ს (ს/ნ 400054203, სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-301977) ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგი (იხ. დანართი N4). იმისათვის, რომ განხორციელდეს „ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესის შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 12 ივლისის N6-9 ბრძანებით დამტკიცებული წესის (შემდგომში - მონიტორინგის წესი) მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, მე-16 მუხლის ,,გ“ პუნქტისა და მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მონიტორინგის წინასამონიტორინგო ანალიზი, გთხოვთ, შესაბამის განცხადებებთან ერთად, 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, სამსახურს წარუდგინოთ ამ წერილის დანართი N1-ით გათვალისწინებული ინფორმაცია, ხოლო 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში, სამსახურს წარუდგინოთ ამ წერილის დანართი N2-ით გათვალისწინებული ინფორმაცია - ფირმისა და ფირმის გარიგებების თაობაზე (გთხოვთ, დანართი N2-ით განსაზღვრული ინფორმაცია წარმოადგინოთ როგორც ხელმოწერილი (დასკანერებული სახით), ასევე ელექტრონულად - Excel-ის ფაილის სახით).

აქვე განგიმარტავთ, რომ სამსახური, მასზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებისათვის, ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-20 მუხლის მე-3 პუნქტის ,,პ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უზრუნველყოფს სამართალდარღვევათა თავიდან აცილებას და გამოვლენას. ამასთან, მონიტორინგის წესის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აუდიტორი/აუდიტორული ფირმა/გარიგების პარტნიორი ვალდებულია წარადგინოს სამსახურის მიერ მონიტორინგისათვის მოთხოვნილი საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტაცია, სამსახურის მიერ დადგენილ ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში (კერძოდ, თუ აუდიტორის/აუდიტორული ფირმის/გარიგების პარტნიორის მიერ, ზემოაღნიშნულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი ან არასრული ფორმით იქნება წარმოდგენილი სამსახურის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია/დოკუმენტაცია) სამსახური ვალდებული იქნება, კანონის VII თავის მოთხოვნათა შესაბამისად, კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მოთხოვნების დარღვევისათვის აუდიტორის/აუდიტორული ფირმის/გარიგების პარტნიორის მიმართ გამოიყენოს კანონმდებლობით განსაზღვრული სანქცია.

ამასთან, დანართი N3-ით წარმოგიდგენთ ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის პროცესის აღწერას.

დამატებით გაცნობებთ, რომ სამსახურში განცხადებებისა და სხვა სახის კორესპონდენციის მიღება მიმდინარეობს მხოლოდ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. შესაბამისად, გთხოვთ, დოკუმენტაციის ელექტრონული (მათ შორის, დასკანერებული) ვერსია გამოაგზავნოთ მონიტორინგის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელისა (ნინო სუდაძე - N.Sudadze@saras.gov.ge) და ინსპექტორების (ზაური შეყილაძე - Z.Shekiladze@saras.gov.ge, ნინო თომაძე - N.Tomadze@saras.gov.ge) ელექტრონულ ფოსტაზე.

დანართი: N1. შესავსები კითხვარი; 17 (ჩვიდმეტი) ფურცელი

N2. ინფორმაცია ფირმისა და ფირმის გარიგებების თაობაზე; (Excel-ის ფაილი)

N3. ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის პროცესის აღწერა; 8 (რვა) ფურცელი

N4. ბრძანება N8, 20.01.2025; 3 (სამი) ფურცელი

პატივისცემით,

თორნიკე ძაგნიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

https://edoc.mof.ge/public/#/2113-16-2-202501201431